№ 54 მარტი 13, სამშაბათი 1890 მარტი 13, სამშაბათი № 54

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ი ვ ე რ ი ა

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგურ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

სამშაბათს, 13 მარტს,

ტფილისის „საგრანიაში“

წინამძღვრიანთ კარის სკოლის სასარგებლოდ.

გამართული იქნება:

**კონცერტი.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ჩითახოვისა, პოდობედი და გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნები ონდრაჟიჩეკი, მაკაროვი, ბექანბეგოვი, თ. თუმანიშვილი, ყორღანოვი და რატილი ხოროთურთ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთების მიღება შეიძლება „საგრანიის“ შვეიცართან. თითო ბილეთი ჰღირს 3 მ., 2 მ., 1 მ. 50 კ. და 1 მანეთი.

## ახალი ამბავი

*** უმაღლესად ებრძანა ფინანსთა მინისტრს, შეუდგეს და გამოიხსნას ყველა ბილეთი მეშვიდე 5%-იანის სესხისა, რომელიც აღებულ იქმნა 1862 წელს. ამ ბილეთების მაგიერ უნდა იქმნას გამოცემული ახალი 4%-იანი ობლიგაციები 75 მილიონ მანათისა ოქროს ფულის კვალობაზე, ანუ 11.865,000 გირვანქა სტერლინგისა. ამ საფინანსო აპერაციის შესახებ გუშინწინდელს დეპეშაში ყოველივე წესი და რიგი დაწვრილებით არის მოხსენებული.

*** შაბათს, ამ თთვის 10, ტფილისის ჟანდარმების გამგეობის უფროსს, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს და პოლიციას მოუვიდა შემდეგი ამბავი: დღეს, დილის თერთმეტს საათზე, რკინის გზის მატარებელი მოვიდა ტფილისიდგან აჯიქაბულს. ჩვეულებრივ ფოსტა უნდა ჩაებარებინა აჯიქაბულის საფოსტო განყოფილების უფროსს, მაგრამ უკანასკნელი რკინის გზის სადგურზე არ აღმოჩნდა. მაშინვე დაიწყეს იმისი ძებნა. აღმოჩნდა, რომ ფოსტის უფროსს ჩოხა ჩაუცვამს და სადღაც წასულა. მატარებელი წასულა ბაქოში და იქ ჩაუბარებია საარქაბულო ფოსტა. ამ დროს, რასაკვირველია, ბაქოსა, ტფილისსა, ბათუმსა, ერევანსა, შემახიასა, ზაქათალასა და სხვა-და-სხვა ქალაქში დეპეშა გაჰგზავნეს, რათა აჯიქაბულის საფოსტო განყოფილების უფროსი შეიპყრან. ამავე დროს აჯიქაბულში ფოსტის განყოფილება დაუბეჭდიათ. რამდენისამე ხნის შემდეგ დამალული ფოსტის უფროსი აჯიქაბულიდგან ათ-თერთმეტ ვერსზე შეიპყრეს და გაჰგზავნეს ბაქოში სასამართლოს გამომძიებელთან. ამბობენ, რომ რამდენიმე ასი თუმანი აკლია ფოსტაში და ეს დანაკარგი სულ იმას მოეკითხებაო.

*** ამ უკანასკნელს ხანებში ქართულის დრამატიულ დასის არტისტებმა ორი წარმოდგენა გამართეს: ერთი საბალოსნო სკოლის სასარგებლოდ და ერთიც ქ-ნ ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ. პირველს წარმოდგენას, წარსულს ხუთშაბათს, ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრო და წარმოადგინეს ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ბაგრატ IV“ და ვოდევილი „ერიდეთ ცეცხლსა“. მეორეზედ, გუშინ-წინ, კვირას, ხალხი ნაკლებად იყო, წარმოდგენილ იქმნა „მეორედ გაყმაწვილება“ და მესამე მოქმედება „მათიკოდგან“. მობენეფისეს დაფნის გვირგვინი მიართვეს.

*** ხარაგაული (შორაპნის მაზრა): 11 მარტს, ნაშუადღევის ორის ნახევარზე, დაეჯახა საქონლის მატარებელი № 33 საქონლისავე მატარებელს № 34 და საშინლად დაიმსხვრა. თვით მატარებლები და რამდენიმე ვაგონი-კი დაუზარალებელი გადარჩა. ცეცხლი მატარებლისა მოედო ნავთს, რომელიც ამოდიოდა ნობელის გამსკდარ ნავთის მილიდგან. მაშინისტი და უფროსი კონდუქტორი № 33 მატარებლისა, როგორც ამბობენ, ცეცხლმა შთანთქა. რამდენიმე სხვა კონდუქტორიც სასიკვდილოდ არის დაშავებული. საშინელი სანახავია ის ადგილი, სადაც ეს უბედურება დატრიალდა!

*** ყვირილა (შორაპნის მაზრა): აქ მოხდა შემდეგი სამწუხარო ამბავი: ვიღაც ლუარსაბ ცაგარეიშვილი შესულა დუქანში და რევოლვერის ცოდვილი დაუწყია. რევოლვერი გატენილი ყოფილა, გავარდნილა და ტყვია შიგ გულში მოხვედრია. საცოდავმა იმ დღესვე სული განუტევა.

*** სურამი: სოფელს ზემო-ქალაში ძლიერ არის გავრცელებული რაღაც მიაარული სნეულება, რომელიც ახლა ხაშურსაც მოედო. საფიქრებელია, რომ სურამშიაც არ გავრცელდეს. ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს.

*** საჩინო (იმერეთი): ამ ჟამად საჩინოში ერთი სამწუხარო ამბავი აქვთ ყველას სალაპარაკოდ და დღედღეზედ ელოდებით, რა შედეგი ექნება. დიდი და პატარა ამ საქმის გარემოებას იძიებს და წუხილობს. აი საქმე რაშია: ერთ მთის სოფელ ონჯოხეთში სცხოვრობს სხვათა შორის ერთი გლეხი, გვარად მიქელთაძე, რომელსაც ჰყავს ქვრივი რძალი ოჯახში, საკმაოდ ლამაზი. ეს ქვრივი შემცდარა და შესძენია ქალი, რომელიც ადგილობრივ მღვდელს მაშინვე მოუნათლავს და რიგისამებრ ჩაუწერია წიგნში. მღვდელს მოძღვრული დარიგება მიუცია დამნაშავე ქვრივისათვის: არ შეგმთხვეოდა ავეთი დიდი ცოდვა, კარგი იყო, და რადგან შეგემთხვა, რა გაეწყობა, კვლავ ნულარ შესცდები, მოინანიე ცოდვა, ამ შეძენილ ყმაწვილს კარგათ მოუარე, გაზარდე, ესეც მადლად ჩაგეთვლება და ღმერთიც გაპატიებს შენს დანაშაულობასაო! ქვრივსაც გულ-წრფელად აღუთქვამს, რომ მევე გავზრდი ჩემს შვილსაო. რამდენისამე კვირის შემდეგ იგივე მღვდელი შემთხვევით მისულა ხსენებულის გლეხისას და უკითხავს, როგორ არის ყმაწვილიო? ოჯახის უფროსს მოუხსენებია, რომ ის ყმაწვილი ამა და ამ უშვილო კაცმა წაიყვანა გასაზრდელად და კიდეც იშვილაო. ვინაა ის უშვილო კაციო? უკითხავს მღვდელს. გვარად ძაგნიძეა და სახელი არ ვიციო, ეთქვა გლეხს. აბა ამ ორის დღის განმავლობაში ყველაფერი გამაგებინე, სადაა ის ყმაწვილი, ან ვისთან? რამდენისამე დღის შემდეგ კვლავ მისულა მღვდელი და ხსენებულ გლეხს მოეხსენებინა, რომ ყმაწვილიც მომკვდარა და მისი გამზრდელიცაო. თუ მოკვდა, შვილო, ის ყმაწვილი, იმ სოფლის მღვდელს უთუოდ ეკოდინება, რადგან წესისამებრ ყმაწვილ მიცვალებულსაც ქრისტიანული წესი უნდა აღსრულებოდა, წადი და მოწმობა მომიტანე იმ სოფლის მღვდლისა, და მაშინ დავრწმუნდებიო, ეთქვა მღვდელს. გლეხს ვერც მოწმობა მოეტანა და ვერც ის ეთქვა დაბეჯითებით, ვინ წაიყვანა უსუსური ბავშვი. ამაზედ მღვდელს ეჭვი დაებადა: ვერც ბავშვი აჩვენეს ცოცხალი, ვერც მკვდარი, ვერც წამყვანი ბავშვისა. ადგა და ადგილობრივ პოლი-

## ფელეტონი

### ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

### VIII*)

მთაწმინდაში ყველა იცნობდა ნიღილაშვილის ქვრივს, რომლის გულკეთილობასა და მხნეობას სამაგალითოდ იხსენიებდნენ, ნაცნობნი და მეზობელნი. ის იყო ტანით დაბალი, სუსტი და დიდი ღვთის-მოყვარე დედაკაცი. ორმოც-და-სამის წლისა იქნებოდა, როდესაც დაჰკარგა თავის საყვარელი ქმარი, რომელმაც სახსოვრად ერთი ქალ-ვაჟი დაუტოვა. ბევრი ივაგლახა ქვრივმა ქმრის სიკვდილის გამო, ამბობდნენ, ვითომ თავის დარჩობაც უნდოდაო, მაგრამ დრომა და ხანმა მოიჰამა მისი მწუხარება, თუმცა ხსოვნა მუდამ გულში ედო და ყოველ კვირა ძალსა და კვირა დღეს მის სულს მხურვალედ ავედრებდა ღმერთს. ბევრჯელ იტყოდა ხოლმე, თავს მოვიკლავდი ეს ორი შვილი რომ არა მყოლოდა: უბედურმა ამათი კარგად აღზრდა ანდერძად დამიტოვაო.

მართლაც-და ნიღილაშვილის ქვრივი ძალიან სცდილობდა ქმრის ანდერძის შესრულებას.

ქმრის პენსიას ცოტას იღებდა თთვეში, სულ 16 მან. და 66 კაპ. იყო. ამ უსამართლობას ქვრივი ყველას შესჩიოდა: ჩემი უბედური ქმარი ოცდა-ცამეტი წელიწადი სინოდის კანტორაში ემსახურებოდა; სეკრეტრად მოკვდაო, ზედ დასაფლავების წინა დღეს ებოძა წმინდა ვლადიმერის ჯვარი, ასე ჩაიკლა თავი სამსახურში და იმის ობლებს ოცის თუმნის მეტი არ დაუნიშნესო. მსმენელნიც კვერს უკრავდნენ და უფრო გულს სწყვეტდნენ საწყალს ქვრივს, გულში-კი ამბობდნენ: რას წუწუნებ, დედაკაცო, რაც შენმა ქმარმა შენ ფული დაგიტოვა, ის-კი არ გეყოფა, მეტი რაღა გინდაო.

მეზობლები ძალიან აჭვიადებდნენ ქვრივის შეძლებას. მართალია, ქმარმა ათასი თუმანი ნაღდი ფული დაუტოვა თავის ცოლ-შვილს, მაგრამ იმას ხომ ხელს ვერ ახლებდა, ქალის მზითვად ინახავდა. დარჩა კიდევ მიცვალებულს ერთ-სართულიანი სახლი მთაწმინდის მეიდნის პირდაპირ, თითქმის წმინდა დავითის გორას ძირში. ქვრივი ეხლა თითონ იდგა იმ სახლში. ეს იყო და ეს. ვაჟიშვილი ჰყავდა გამოსაზდელი და ქალიშვილი, არც-კი ეყოფოდა. მაგრამ დახედეთ ქვრივის ყოჩაღობას! თავადიშვილის ქალმა რის ვაი-ვაგლახით, თხოვნითა და ხვეწნით, ბევრის თავის დამცირებით ძლივს სახელმწიფო ხარჯით ქალი დედათა სასწავლებელში მიაღებინა და მოისვენა. დარჩა ერთი ვაჟი, რომელიც გაგიჟებით უყვარდა, რადგან პატარაობიდგანვე ძალიან მორჩილი შვილი იყო დედისა და დიდი პატივის-მცემელიც. ვაჟს გიმნაზიაში შეასრულებინა კურსი, და მერე რუსეთში გაჰგზავნა. უფრო-კი თითონ მოინდომა ყმაწვილმა რუსეთს წასვლა. ეხლა უკვე დაბრუნებულიყო რუსეთიდგან და მას უკან თითქმის ორი წელიწადი სრულდებოდა, რომ ყმაწვილი კაცი თავის სახლში იჯდა.

ერთხელ დედამ ჰკითხა: შვილო სამსახურს რატომ არ ირჩევო, და შვილმა ფილოსოფიურად უპასუხა: ალბად მიზეზი მაქვს და თუ ჩემი წყენა არ გინდა, ნუ მკითხავ რა მიზეზია ის მიზეზიო. ეს იყო და ეს. დედას შემდეგ ფიქრადაც არ მოსვლია განმეორებით ეკითხნა შვილისათვის მიზეზი სამსახურში შეუსვლელობისა. იმასაც-კი ჰნანობდა, ერთხელაც რადა ვკითხეო. ქვრივის შვილი იმ ყმაწვილთაგანი იყო, რომელნიც რუსეთის ცხოვრებას ისეთის გულით გაეტაცვინებიან ხოლმე, რომ ქართველობა ავიწყდებათ თითქმის; იმ ყმაწვილთაგანი იყო, რომელთაც ჰგონიათ, რომ საქართველოში მოქმედება და საქმის კეთება არ მოხერხდება, არ შეიძლებაო.

ეს ყმაწვილი ნიკოს ამხანაგი იყო პატარაობისას. გიმნაზიაში ყოფნის დროს აჲ ნიღილაშვილის დედასთან იდგა. ეხლა, რა-კი ქალაქში ჩამოვიდა, ნახა ყველა თავისი მეგობარი და, რასაკვირველია, ნიღილაშვილებისაც ნახვაც მოვალეობად დასახა.

ჯერ ისევ ადრე იყო, დილის 10 საათი არც-კი იქნებოდა, ქვრივის სახლში სამოვარი შიშინებდა და დაძმა ნიღილაშვილები შემოსხდომოდნენ და მხიარულად მუსაიფობდნენ. ქალი ერთის წლის კურს-შესრულებული იყო.

— დედა, გაათავე სახლის დალაგება! რა არის, ღმერთმანი, მტვერი სულ ჩაიში გვცვივა,—გაუჯავრდა ქალი დედას.

— როგორ შეიძლება, შვილო, საცაა ის ყმაწვილი მოვა და არეულს სახლში ხომ ვერ შემოვიყვანთ.

— დედა, წამოსთქვა წყნარად ვაჟიშვილმა: ჩვენ ყველა მტვრად ვიქცევით და სჯობს ეხლავე შევეჩვიოთ მტვერს.

— როგორ თუ მტვრათ ვიქცევით! გაიკვირვა დამ: გამხმარი ტალახი ხომ არა ვართ, რომ დავიფშვნათ?

— ეს ფილოსოფია არის, უპასუხა სიცილით ძმამ.

— მაშ არ მინდა მაგაზე ლაპარაკი; ფილოსოფიისა საშინლად მეშინიან; ასე გასინჯე, წიგნში რომ ხანდისხან შემხვდებოდა ხოლმე ეგ სიტყვა, კი არ წავიკითხავდი, ისე თვალებს მეორე სიტყვაზე გადავახტუნებდი ხოლმე.

— იმიტომაც ბევრი გამოგიტანია წიგნიდგან, შენიშნა დედამ.

— შენ გთხოვ ჩემს ლაპარაკში ნუ გაერევი ხოლმე, დედა, გაუჯავრდა ქალი; შენ რა გესმის რაზე ვლაპარაკობთ, ან ჩემის ცოდნისა იცი რამე! აბა რას ეჩრები!

— ეგრე, შვილო, ეგრე გამოთან-

*) იხ. „ივერია“ № 45, 46, 48, 49, 51 და 52.

ციას მოახსენა ეს ამბავი. პოლიცია დიდის მეცადინეობით გამოუდგა ამ საქმეს. ჯერ-ჯერობით პოლიციის მიერ სწარმოებს გამოძიება, მაგრამ დღემდის ბავშვი ვერც მკვდარი აღმოაჩინეს და ვერც ცოცხალი. ვერც ის გაიგეს, თუ ვინ წაიყვანა ყმაწვილი გასაზრდელად. ხსენებული გლეხი და იმის ოჯახში მყოფი ერთობ გაუგებარს პასუხს იძლევიან. სხვათა შორის ისიცა სთქვეს, რომ ჩვენ შინ არ ვიყავით, ბავშვი აკვნით იდგა, მოსულიყო ვიღაცა კაცი, ამოეყვანა აკვნიდგან ყმაწვილი და წასულიყოო! უფრო სამწუხარო ისაა, რომ, როგორც ხმა გავრცელდა და ზოგნი დაბეჯითებითაც ამბობენ, ვითომც ის დაკარგული ბავშვი ურიებს ეყიდნოთ ხსენებულის გლეხისაგან. ეს, რასაკვირველია, სიცრუე უნდა იყოს და არას გზით დასაჯერებელი არ არის. ვნახოთ რას გამოაჩენს გამოძიება ამ საქმისა. სასურველია, ვისიც ჯერ-არს, მიიღოს ყოველივე ღონისძიება ამ საქმის გამოაშკარავებისათვის. ხალხი ძალიან აღელვებულია. რა შედეგიც ექმნება საქმეს, ყოველივეს დაწვრილებით მოგწერთ.

*** მარტის 9 და 10, ღამით, პოლიციის მეხუთე ნაწილში, თათრის მეიდანზე, იედიგაროვის მამულში, ტფილისელ ვაჭარს პეტრუზ სტეფან-ბეგოვს გაუტეხეს ქვის კედელი და გაიტანეს მაღაზიიდგან სხვა-და-სხვა ავეჯი და ფული, სულ ას თორმეტ მანეთამდე. აგრეთვე არტემ მერაბოვსაც გაუტეხეს ქვისავე კედელი და გაიტანეს ფულად 72 მანეთი. დამნაშავენი არიან: ტფილისის მცხოვრებელი ალექსანდრე მერაბოვი, რაჭის მაზრის მცხოვრებელი პორფირი გრიგოლის ძე მემშვილდიშვილი და არტემ ნიკოლოზის ძე ყიფიანი, რომელნიც პოლიციამ უკვე შეიპყრო, ოქმი შეუდგინა და საქმე გამომძიებელს გადასცა.

*** მარტის 10, პოლიციის მეექვსე ნაწილში, ქალაქის მკურნალმა რუდკოვსკიმ, პოლიციელის თანადასწრებით, დაათვალიერა ყველა ტრაქტირი, სასმლისა, სახაბაზო და ყასბის დუქნები და არსად არავითარი უწესოება არ შეუმჩნევია.

*** მონათლული ქისტი, რომელმაც ამას წინად მეღვინოვის სავაჭრო საწყობიდგან მოიპარა 2,500 მანეთის ოქრო ვერცხლის ნივთეულობა და აგრეთვე ფულად 3,500 მანეთი, 11 მარტს პოლიციას შეუპყრია ბათუმში.

*** მარტის 12 ქალაქის მოვარდნილსა და მიყრუებულს ქუჩაში პოლიციელებს შეუპყრია 182 უპასპორტო და უსაქმო კაცი და თავ-თავიანთ სამშობლოში გაუგზავნია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია, 5 მარტი. ვის არ მოეხსენება, რომ წინად კავკასიაში ბევრგან აბრეშუმის კეთება ძლიერ გავრცელებული და აყვავებული იყო და დიდი სარგებლობასაც მოჰქონდა. გავიდა დრო, აბრეშუმის ჭიებს სხვა-და-სხვა მიზეზის გამო გაუჩნდა სენი, რის წინააღმდეგაც მეაბრეშუმეებმა ვერაფერი ღონე ვერ იღონეს, თანდათან გაუგრილდნენ და მიანებეს თავი აბრეშუმის კეთებას.

ვინც ჩვენი ქვეყნის ავ-კარგიანობას ბევრად თუ ცოტად თვალ-ყურს ადევნებს, ისიც ეცოდინება, რომ კაი ხანია რაც მართებლობამ ყურადღება მიაქცია ამ არა-სანუგეშო მდგომარეობას, მიიღო შესაფერი ღონისძიება აღნიშნულ დაცემულის წარმოების აღსადგენად და კარგს ნიადაგზედ დასაყენებლად. ეხლა, როგორც გაზეთებიდამ ისმის, განზრახვა აქვთ საზღვარ-გარეთიდგან რუსეთის სახელმწიფოში შემოტანილ აბრეშუმეულებას დიდი ბაჟი დაადონ, შეუმცირონ საშუალება მზა-მზარეულად შემოტანილის ყიდვისა, რათა ბევრი ფული გავიდეს ჩვენი სახელმწიფოდამ, ჩვენშივე აღიძრას სურვილი აბრეშუმის კეთებისა, გაძლიერდეს და წარმატებაში შევიდეს.

ჩვენი საოსტატო სემინარიები იმათში სწავლა დამთავრებულებს აქამდის არავითარს სწავლა-ცოდნას არ აძლევდნენ შესახებ აბრეშუმის კეთებისა, ხოლო ხალხში ამ ცოდნის გამავრცელებლად-კი ცნობილია სკოლები. ამიტომ დრო-გამოშვებით სხვა-და-სხვა ადგილას დაიწყეს მასწავლებელთა კრების გამართვა. კრებაზედ მასწავლებლებს მცოდნე კაცების ხელმძღვანელობით ასწავლიან სადის პარკების გამოცნობას, გამოყვანას, აღზრდას და პარკების ამოხვევას.

ამ ოთხის წლის წინად ქ. ოზურგეთში (გურია) საერო სკოლების ინსპექტორის ხელმძღვანელობით იყო ერთი ასეთი კრება. მიწვეულნი იყვნენ სხვათა შორის ოზურგეთის მაზრის მასწავლებელნი, უფრო ასეთ სოფლებისა, სადაც ბლომად მოიპოვება თუთის ხე. მასწავლებლებმა დიდის ხალისითა და გულ-მოდგინეობით მიიღეს მონაწილეობა ამ საქმეში და კიდეც შეიძინეს იმდენი ცოდნა, რამდენიც-კი მოკლე დროში მოხერხდებოდა (კრებამ სულ სამი დღე გასტანა).

თუმცა ოზურგეთის მაზრის სოფლის მასწავლებლებს მეაბრეშუმეობის მცირე ცოდნა ჰქონდათ, მაგრამ უფროსკრთნი მაინც არ დაემსგავსნენ იმ უხმარ, ხელით-უპყარ და მედგარს მონას, (თუ შეიძლება ასე ითქვას ცოდნის მოხმარების შესახებ), რომელმაც მიიღო ერთი ქანქარი, ჩაჰფლა მიწაში, დამალა და არ შეიძინა სხვა ტალანტი. სახელმძღვანელო წიგნებიდგან ამოიღეს რამდენიმე ცნობა და გვარიანად შეიგნეს აბრეშუმის კეთების წესები. სკოლასთან საბრეშუმე სახლის უქონლობამ და სკოლის შენობის სივიწროვემ ძალიან შეუშალა ხელი. რადგან მეტი ადგილი არ იყო, რამდენიც მოთავსდებოდა, ისევ სკოლის შენობაში დაისვეს ყაჭი და შეგირდებს ასწავლეს მოვლა-აღზრდა პრაქტიკულად. სოფლელებმა არა თუ არ თანაუგრძნეს, პირ-იქით, ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა და აი ასეთი ლაპარაკი ასტეხეს: „ვის მოუსწრია, ვის გაუგონია! ყაჭის კეთების „სწავლება“ რა უჩიტელის საქმეა, ამისა ცდენს ბალღებს, წიგნი ასწავლოს? ყაჭის ხელობა თუ მოსახმარი იყოს და რამე ხეირი გამოვიდოდეს, ბებრუცუნებსაც ქე შეუძლიანთ ასწავლონ“. მასწავლებლებმა თავისი არ დაიშალეს. აბრეშუმს კარგი მოსავალი დაურჩა და სოფლელებმაც წინანდელი შეხედულობა თანდათან გამოიცვალეს. ეხლა იშვიათს სოფელში შეგიძლიანთ მოჰკრათ ყური წინანდელისთანა არა გამამხნევებელს სიტყვებს.

წელს ზოგიერთ მასწავლებელს უნდათ სკოლის შენობაში გაიჩინონ აბრეშუმის ჭიები. ამასთანავე სოფლელებს, რომელთაც შესაფერი სახლები აქვთ, ჰპირდებიან და აგონებენ კარგის ჯიშის, ცელულიარულის წესით მომზადებულისა და დაუზიანებელის აბრეშუმის ჭიის თესლის დაბარებას. თავიანთის მხრით ჰპირდებიან უსასყიდლოდ დრო-გამოშვებით საყაჭე სახლების დათვალიერებას და ისეთის მოვლის წესების სწავლებას, რომ ჭიებს აღარ დაინონ სენი. ძალიან სასურველია, რომ ყველა მასწავლებელი ასე ინებებდეს. ისიც უნდა გსთქვათ, რომ ერთი-ორი მასწავლებელი ამას წინა წლებშიაც იყო მოწადინებული, მაგრამ სოფლელებმა არ ისურვეს. ეხლა მოხსენებულ წინადადებას სიამოვნებით მიიღებენ და, თუ წინად უარს ამბობდნენ, ერთი მიზეზი ამისა, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ის იყო, რომ ხალხი არ ენდობოდა მასწავლებლებს ამ საქმეში, და მეორე კიდევ ის, რომ მაშინ სიმინდს კარგი ფასი ჰქონდა და ხალხის ყურადღებაც იმაზედ იყო მიზიდული. მართალია, მასწავლებლებიც რიგიანად, მეცნიერულად შემუშავებულ ჭიის აღზრდის წესებს სრულად და [illegible] ვერ მოახერხებენ, მაგრამ ჩვენში რომ მამა-პაპურად კეთება იციან, იმაზედ ბევრად უკეთესად მაინც გამოზრდიან ჭიებს. მოსავალიც, რასაკვირველია, სანუგეშო იქნება. ესეც დიდი საქმეა და ხალხისაგან ღირსეულ სიყვარულსა და მადლობას დაიმსახურებენ ჩვენი მასწავლებლები.

თეოფანე კალანდარიშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის „ივერიის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ჩემის, ისე ჩემის მოსწავლეების მხრით, ბ-ნს დიმიტრი ექვთიმეს ძე კალანდარიშვილს, რომელმაც გამოუწერა რწმუნებულს ჩემდამი სკოლას საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ მთელის წლით.

სოფ. ნიგოითის სკოლის მასწავლებელი
სვიმონ ჟორბენაძე

## უცხოეთი

გერმანია. პრუსიის ლანდტაგში ცხარე ლაპარაკი ჩამოვარდა ამას წინად გერმანელ პოლშელების გამო. როგორც მოგეხსენებათ, 1886 წელს მთავრობამ გადასდო ფული პოზნანსა და დასავლეთ პრუსიაში მიწების სასყიდლად პოლშელებისაგან და ზედ გერმანელების დასასახლებლად. ამ საგნის გამო არჩეულმა კომისიამ მოახსენა თავის მოქმედების ანგარიში ლანდტაგს. პირველმა დაიწყო ლაპარაკი დეპუტატმა იასჩევსკიმ, ტომით პოლშელმა. „მწუხარებით უნდა ვაღიაროთ აქ, რომ მთავრობა ისე გვიცქერის პოლშელებს, თითქო გერები ვიყოთ. პრუსიის მთავრობას საგნად აქვს ახლა განდევნოს პოლშელნი მკვიდრნი თავიანთ მშობელ ადგილ-მამულიდამ და უნდა დაასახლოს სხვები და თან ისეთი შეღავათი და უპირატესობანი მიანიჭოს იმ სხვებს, რომელიც პოლშელ გლეხკაცს სიზმრადაც არა სჩვენებია. პრუსიის მთავრობა თავ-მომწონედ იძახის: „ყველას თავ-თავისიო“, Suum cuique-ო, მაგრამ ეს ტყუილი და ცრუ ძახილია. მარტო პოლშელებისათვის არის უარ-ყოფილი შესანიშნავი სიტყვები სტალისა: „ერი ანუ ეროვნება ისევე ხელ-უხლებელია, ისევე ხელშეუვალი, როგორც მეფობაო“. ამბობენ, რომ კოლონიზაციის კანონს მხედველობაში აქვს წვრილ წვრილი მიწათ-მფლობელობა გაავრცელოსო. თუ ასეა, მაშ კომისია რადა ჰყიდულობს პოლშელ გლეხთაგან წვრილ-წვრილ მამულებს და აძლევს გერმანელებს? გაიხსენეთ ის გარემოება, რომ არსაიდამ იმდენი ხალხი არ მიდის უცხოეთში ბედის საძებრად, რამდენიც მიდის იქიდამ, სადაც კოლონიზაციის კომისია მოქმედობს. დავიჯეროთ, მთავრობა არა ჰფიქრობს, რომ არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ლაპარაკი, მაურს დაეხმაროთ მუშებსაო, და იმავე დროს სდევნიდეს ამოდენა მუშა ხალხს და ელალებოდეს ან დიდს ქალაქებში, ან საზღვარ

---

ძლე: ძიძის პატივისცემა მაინც არა გაქვს?

— დაიწყო თავის გლეხური მოთქმა! ნუ მელაპარაკები-მეთქი!

— ეგ არ ვარგა, ნუ აჯავრებ, უთხრა რუსულად ძმამ გაკაპასებულს დას. უსწავლელობას ნუ აყვედრებ.

— მაშ რას ჩამაცივდა! პირველად მაგან არ დაიწყო? უპასუხა დამ: მუდამ ასე შხამად უნდა შემარგოს საჭმელი!

ქვრივი ბუტბუტით მეორე ოთახში გავიდა. ქალი პატარა ხანს კიდევ გაბუტული იჯდა, მერე ისევ მალე მოვიდა ქეიფზე და კარგს გუნებაზე დადგა.

— ვანო, ჰკითხა იმან ძმას: რომელს საათზე მოვალო ნიკომ?

— დილაზეო, საათი არ დაუნიშნავს.

— ძალიან კარგად მახსოვს ის ყმაწვილი. მგონი ლამაზის სახისა იყო? შენ არ გახსოვს!

— ძალიან ლამაზი ყმაწვილია. ამასთანავე ჰკვიანიც.

— შეძლებაც კარგი აქვს, დაუმატა მეორე ოთახიდგან ქვრივმა.

— ნეტა ვიცოდე, sait-il valser.

— მაგისი-კი რა მოგახსენოთ. ჩვენ, ახალის აზრების კაცები, მაგას უარვყოფთ.

— ესე იგი, მინდოდა მეკითხნა, შენსავით ხომ არა ფილოსოფოსობს. თუმცა შენი ფილოსოფია შენს გულს ეთანხმება, როგორც, მაგალითად, თავისუფლება, პეპელასავით ფრენა ჩემს გულსა, მაგრამ შენ თითონ არ მომწონხარ; სიტყვაზე, შენ რომ საქმრო იყო, არ მოგთხოვდებოდი.

— ე! რატომ? ჰკითხა ღიმილით ძმამ.

— არ ვიცი, რატომ. ოჰ, ნეტა ეს ფილოსოფია გადავარდებოდეს! მაშინ ყველა კაცები კარგები იქნებით.

— შენ იცი განა, რა არის ფილოსოფია, ან რა გამოსადეგია?

— არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

— რომ იცოდე, ეგებ შენც შეგიყვარდეს.

— არა მგონია. სიყვარული მარტო კაცისა და ქალისა შეიძლება. მართლა, ვანო, ერთი გამაგებინე, რა არის ფილოსოფია! ვინიცობაა ნიკომ დამიწყოს ლაპარაკი, პირ-დაღებული არ დავრჩე.

— კარგი, უპასუხა ვანომ და დაიწყო: ავიღოთ, მაგალითად, მატერია.

— რომელი? ჰკითხა დამ.

— როგორ თუ რომელი? მატერია როგორ არ იცი რა არის?

— ეგ რა საკითხავია! მატერია როგორ არ ვიცი, რა არი!

— მაშ კარგი. როგორ გგონია, მატერიას თავი და ბოლო აქვს?

— თავიცა აქვს და ბოლოც.

— ესე იგი, მე მინდა გკითხო: იქნება დრო, როდესაც მატერია მოისპობა?

— მაგისთანა დრო არ შეიძლება იყოს, უპასუხა პატარა დაფიქრების შემდეგ დამ.

— ეგ ერთი კითხვა და პასუხი. მეორე: იყო დრო, როდესაც მატერია არა არსებობდა?

ქალი დაფიქრდა, შუბლის ზელაცკი დაიწყო იმის ნიშნად, რომ ძალიან ვფიქრობ მაგ საგნის გამოსარკვევადაო.

— მოიცა, ვანო, მე მინდა დალაგებული და მეცნიერული პასუხი მოგცე: მე მგონია და შემიძლიან კიდეც დაგიმტკიცო, რომ იყო დრო, როდესაც მატერია არა არსებობდა. ჯერ ერთი ის, რომ, როგორც შენგან გამიგონია, მეცნიერები ამტკიცებენ, მიწის შუა-გულში ცეცხლია და მიწა მას ქერქსავით გარეშემო აკრავსო. ასე არ არის? დაეკითხა და თავ-მომწონედ ვანოს, რომელიც თვალებ-გაჭყეტილი შესცქეროდა თავის დას და მოუთმენლად ელოდა, აბა ვნახოთ რას იტყვისო. ვანომ თავი დაუქნია.

— მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, განაგრძო ქალმა: რომ ეს ქერქი თანდათან თხელდება.

— სქელდება, გაუსწორა ვანომ.

— ეგ სულ ერთია, რადგან მე მინდა ვსთქვა, რომ იყო დრო, როდესაც მთელი ჩვენი დედამიწა ერთს ცეცხლის ბურთს წარმოადგენდა. თუ ეს ყველა, რაც ვსთქვი, ასეა, აქედგან აუცილებლად ის უნდა დავასკვნათ, რომ ვერა ადამიანის გაკეთებული მატერია ამ ცეცხლს ვერ გადურჩებოდა და უსათუოდ უნდა დამწვარიყო.

— ხა! ხა! ხა! გადიხარხარა ვანომ.

— რას იცინი, რა ვქნა! გაიკვირვა დამ და როდესაც ვანომ ველარ მოიბრუნა სული და გადაბჟირებით კიდევ იცინოდა, ვარინკასაც წასკდა სიცილი.

— აკი გეუბნებოდი, რომ ფილოსოფიისა არა მესმის-რა-მეთქი, ეუბნებოდა და ხარხარებდა მხიარულად.

— შვილო, ვიღაც ყმაწვილი კაცი მოდის, ნიკო უნდა იყოს, დაუძახა დედამ.

ვარინკა მაშინვე მეორე ოთახში გავარდა და კარებიდგან ძმას ევედრებოდა, რომ სიცილი შესწყვიტე და ნიკოს არ გააგებინო ჩვენი ლაპარაკიო.

ქვრივიც საჩქაროდ სარკეს მივარდა კავების გასასწორებლად.

— შვილო, ბევრს ნუ წაიცხებ უმარილს, გენაცვალე, შეგეტყობა, შეეხვეწა დედა ვარინკას.

— გაჩუმდი ერთი, ხმა მაღლა ნუ ლაპარაკობ, იქ არ გაიგონ ხმა, ჩააჩუმა ქალმა დედა.

ქვრივმა ერთს წამს აათვალიერ-ჩაათვალიერა თავისი ქალი, კაბის არშია გაუსწორა და სასტუმრო ოთახში გავიდა. პატარა ხანს შემდეგ ქალიც თან გაჰყვა.

— აი, ნიკო, ჩემი და ვარინკა, რომელიც შენ სულ ყმაწვილი დასტოვე, წარუდგინა თავისი და ვანომ.

— უწინ, როგორც ჩემს პატარა დას, ისე გეალერსებოდით, ეხლა-კი ნება მომეცით ხელზე გაკოცოთ, მიჰმართა ჯენტლმენს წესისამებრ ნიკომ. ვარინკამ კეკლუცად ხელი გაუწოდა და თავის ძმას თვალი უყო.

— მე ძალიან კარგად მახსოვს და ყოველთვის სიცილით გიგონებდით: თქვენ რომ თქვენის სახელის გადასხვა-

გარედ, უცხოეთში, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით. ვგონებთ, რომ ასეთი საქციელი სოციალურს მშვიდობიანობას ვერ დაამყარებს. ასეთი უსამართლობა სწყინთ არა თუ პოლშელებს, არამედ თვით შეგნებულ გერმანელებსაც.

იასჩევსკის უპასუხა დეპუტატმა ფუტკამერმა-პლაუტმა, კონსერვატორმა. როცა ზემოხსენებული კანონი გამოიცა, მაშინვე იმედი არ იყო, რომ იასჩევსკი, და მისი მეგობრები ამ კანონს სიხარულით მიეგებებოდნენ. მაგრამ პრუსიის მთავრობას ხომ უნდა ეზრუნა, რომ დაეცვა ერთიანობა თავის მიწა წყლისა და მშვიდობიანობა თავის ქვეყნისა. პოლშელებს რომ გულ-ახდით გამოეცხადებინათ, ჩვენ ხელს ვიღებთ პოლშის საშეფოს აღდგენაზეო, მაშინ შეიძლება სხვა ნაირად მოვქცეოდით პოლშელებს. ანკი რა სათქმელია, რომ ვსდევნიდეთ პოლშელ გლეხებს ან მიწათ-მფლობელთ? კომისიას ნება არა აქვს, ძალით შეისყიდოს ვისიმე მამული. ნება აქვს მხოლოდ შეისყიდოს სახელმწიფოს ხარჯით ის მამულები, რომელიც ნება-ყოფლობით ისყიდება. პოლშელების ნებაა, უნდათ გაჰყიდიან თავიანთ მიწებს, უნდათ არ გაჰყიდიან. იმათი ძალის დამტანებელი არავინ არის. საკვირველია ისიც, რომ ორატორმა დაამჯობინა წვრილ-წვრილი მიწათ-მფლობელობა სხვა გვარს მიწათ მფლობელობას. პოლშელი არისტოკრატები და სამღვდელოება აქამდე სხვა აზრისანი იყვნენ და რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ახლა ასე მოუხვევიათ (მემარჯვენეთ დიდად მოეწონეს ასეთი ლაპარაკი დეპ. ფუტკამერ-პლაუტს).

მოთათბირე-მოვაზირე ვილმოვსკიმ, რომელიც, ხვნა-თესვის მინისტრის ავადმყოფობის გამო, იმის მაგიერობას სწევდა, სთქვა, რომ კომისია ყიდულობს დიდს მამულებს და არა გლეხთა სახნავ-სათესს ადგილებსაო. შემდეგ ვინდჰორსტმა ილაპარაკა. „თუ ჩვენ ყოველთვის პირში არ ვებმით მთავრობას, როცა ანგარიშს წარმოგვიდგენთ ხოლმე პოზნანის დასახლების გამო, არ ვებმით მხოლოდ იმიტომ რომ გამარჯვების იმედი არა გვაქსო, დაიწყო ვინდჰორსტმა. პოლშის პროვინციები საკმაოდ მტკიცედ შემოერთებია პრუსიას და ამიტომ საჭირო არ არის ისეთ ღონისძიებათა მიღება, რომელიც აშფოთებს პოლშელის გრძნობას. რა აზრი უნდა ჰქონდეს ისეთს პოლიტიკას, რომელიც მტრად უხდის სახელმწიფოს მშვიდობიანს მოქალაქეებს, მერე ისიც ეხლა, როცა ასეთს სოციალურს ომში ვართ (ისმის ტაშის ცემა შუა-გულ დასისა და პოლშელების სკამებიდგან). სრულიად არ მიმაჩნია სამართლიანოდ არც ის გარემოება, რომ ზოგიერთმა გერმანელმა თავისი საარჩევანო კენჭი პოლშელს მისცა. ასეთი საქციელი კარგიც არის, რადგან ჰშველის მეგობრობას გერმანელისასა და პოლშელისას. ორივენი ხომ ქვეშევრდომნი არიან ერთისა და იმავე სახელმწიფოსი? ვწუხვარ, ბატონებო, რომ არ გინდათ შეიგნოთ ასეთი უბრალო რამ. რას ამტკიცებს ესა? მხოლოდ იმას, რომ პოლშელების საქმეს ვერ მოჰკიდებიხართ გულ-დამშვიდებითა და გულ-დაწყნარებით. ნუ დაგვიწყდებათ, რომ პოლშელები ყველგან არიან გერმანიაში და იმითაც თავიანთი საარჩევანო კენჭი რამდენგანმე გერმანელს კანდიდატს მისცეს, რასაკვირველია, კარტელის კანდიდატსკი არა, მაგრამ ამისთანა კეთილ-გონიერებისათვის კერძოდ მე დიდად და დიდად ვუმადლი (ისმის სიცილი). დიაღ, საჭირო იყო დაგვერღვია ის კარტელი (კარტელი მთავრობის მომხრე დასების კავშირი იყო), საჭირო იყო სასარგებლოდ სახელმწიფოისა, ეკკლესიისა და ეროვნებათა. გახსოვდეთ, რომ არას დროს არ შეიძლება ძალადობით მოსპოთ გრძნობა მშობელის ერის სიყვარულისა. მე აქ თქვენ ანგარიშის თაობაზე არას ვამბობ: ჩემთვის პირველი საქმე დედააზრია, ამ მხრით არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ თქვენის ანგარიშიდამ არა სჩანს, ზრუნავთ რასმე სარწმუნოებაზედ, თუ არა. აქაც იგივეა, რაც ყველგან ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაში: სკოლა და სარწმუნოება არ ახსოვთ და მერე როცა ურწმუნოების ნიადაგზე იზრდება სოციალ-დემოკრატების სწავლა მოძღვრება, მაშინ ჰკვირობენ, ეს რა ამბავიაო (ვიღაც ავგუსტინეს სიტყვას: ბელგია რად გააწყდებაო?). განა მე იმას ვამბობ, რომ ყველა კათოლიკეს ჭეშმარიტი სარწმუნოება აქვს-მეთქი? თითოეული კათოლიკე რომ თავის მოვალეობას ასრულებდეს, თქვენ კონსერვატორები ძალიან ნაკლებად ისხდებოდით მაგ სკამებზე (ისმის სიცილი და ტაშის-კვრა). ყველას ის ემჯობინებოდა, რომ მოგესპოთ ეგ კანონი კოლონიზაციისა და ფული მუშა ხალხის საჭიროებათათვის გადაგედოთ“.

ვინდჰორსტმა ერთხელ კიდევ მოითხოვა ყველაზე ბოლოს სიტყვა და სთქვა შემდეგი: „მთავრობა თავის უჯიათობით უფრო ავრცელებს სიყვარულს იმისას, რასაც უჯიათად ეკიდება. განსაკუთრებულის ღონისძიებით უფრო ვრცელდება აზრი კათოლიკებისა და პოლშელებისა. გარწმუნებთ, ძალ-მომრეობასა და უჯიათობას ამდენი უბედურება და ცრემლი რომ არ მოსდევდეს, ვისურვებდი კვლავ განგეგრძოთ თქვენი პოლიტიკა ძალ-მომრეობისა და თვალითვე გვენახა მაგ პოლიტიკის ნაყოფი. თქვენ, კონსერვატორები, გაიძახით, რომ მე ყოვლად შემძლებელი კაცი ვარ რეიხსტაგში. მაგრამ საკმაოა მხოლოდ მოსპოთ ეგ თქვენი პოლიტიკა ეროვნებათა და სარწმუნოებათა დევნისა და ჩვენ მაშინვე მშვიდობიანს ცხოვრებას დავიწყებთ. ამის მაგიერ ყველა ღონისძიებითა სცდილობთ დააჯეროთ მთავრობა, რომ დაითხოვე რეიხსტაგიო, ის რეიხსტაგი, სადაც თქვენთვის, უკაცრავად არ გახლდეთ, ადგილი არ აღმოჩნდა (ისმის ხმა ჩივილისა და წინააღმდეგობისა). რაო, არ გესიამოვნებათ ჩვენი ლაპარაკი? თუ გინდათ, დავასახელებ, ვინც არის თქვენში ამისთანა კაცი. ახალ არჩევანების წინააღმდეგიც არ გახლავართ. კათოლიკეთა დასი ისევე გამარჯვებული იქნება ახალ არჩევანებზედაც, როგორც ამ არჩევანებზე გაიმარჯვა. დიდი სოციალური წინამდებარე ბრძოლა, რომელიც ასე მალე მოგველის, მაინც გამოგვფხიზლებდეთ და ძალას დაგატანდეთ, რომ მოსპოთ ეგ უაზრო დევნა, რომელსაც არავითარი ნაყოფიერი შედეგი არ მოსდევს. ვამბობ და თან კარგადაც მესმის, რასაც ვამბობ, რომ ეხლა სწორედ დროა იმათთვის, ვისაც უნდა მომხრეობა გაუწიოს დღეს არსებულს წეს-წყობილებას, მოსპონ ერთმანერთში ძველი დავიდარაბა. ნუ მოეკიდებით გულ-აცრუებით და ნუ დაიჭერთ აბუჩად სოციალურს უსწორმასწორობას. ჩვენში არ ყოფილა ჯერ ამაზედ დიდად მნიშვნელობიანი, დიდად საყურადღებო დრო და ხანა. მსგავსი მისი მხოლოდ ძველს ისტორიაში თუ იპოვება. მე ვცემ საყვირსა და მშვიდობასა ვღაღადებ, ხოლო თქვენ ნუ დაჰკრავთ განგაშსა და ხელ-ახლად ომში ნულარ გამოგვიწვევთ“.

## წვრილი ამბები

ჩიკაგოს ერთს სასამართლოში ამას წინად ერთი სასაცილო ამბავი მოხდარა. ერთი ახალგაზდა ლამაზი ქალი დაუკითხავად შესულა სასამართლოში და საქმროს სკამზედ დაბრძანებულა, სხვა ქალების გვერდით. ქალის საქციელი ქალებს ძალიან უწყენიათ, მაგრამ იმ ქალს ხმის გაცემაც-კი ვერავინ გაუბედა თურმე და მხოლოდ თვალებს უბრიალებდნენ და უბღვერდნენ. ამასობაში ქალსაც ისე მოუვიდა გული, რომ, თითქო ყველასთან ბრძოლას აპირებსო, სულ ცეცხლსა ჰყრიდა თვალებიდგან. ბოლოს ქალთან კრძალვით ბოქაული მივიდა და მოახსენა, აბრძანდით, აქ თქვენი ადგილი არ არისო. ქალმა ისე აბუჩად აიგდო ბოქაული, რომ ხმაც არ გასცა, მხოლოდ ზურგი შექცია. ბოქაულმა ასეთი შეურაცხება ვერ აიტანა და ის-ის იყო ხელი უნდა ეტაცნა ქალისთვის, მაგრამ ახალგაზდა ქალი უცბად მობრუნდა, გაიძრო თავის რეზინის ფეხსაცმელი და იმითი დაუწყო ბოქაულს ცხვირ-პირში ცემა. ბოქაულმაც, რასაკვირველია, არა გაატანა-რა და ასტყდა საშინელი ცემა-ტყეპა. ბოლოს, როცა მოჩხუბარნი გააზავეს, ქალმა გამოაცხადა, რომ მე ვექილი ვარ და ნება მაქვს ამ ადგილს დავჯდეო. ამის გაგონებაზედ მსაჯული ძალიან შეწუხდა და იძულებული შეიქმნა ქალის წინაშე ბოდიში მოეთხოვნა და ბოქაულისათვის-კი ჯარიმად ერთი თუმანი გადაახდევინებინა. ქალი ამით კმაყოფილი დარჩა და განაცხადა, რომ „ჰკმარა, დანარჩენი ჯარიმა მე გადავახდევინებო“.

— პარიჟის „ფერნანდოს“ ცირკში, ერთს შავ ბედაურ ცხენს ბულანჟეს სამასხაროდ ათამაშებენ თურმე. ეს ცხენი იმ შესანიშნავ ცხენსა ჰგავს, რომლითაც ბულანჟე მარსის მინდორზედ ნავარდობდა ხოლმე, მაგრამ ცირკის კლოუნებმა ესეც არ იკმარეს და თავისი ბედაური თვით გენერალსაც დაამსგავსეს. გამოვა თუ არა ცხენი ცირკის მოედანზედ, მაშინვე თავ-მომწონედ გაინავარდ-გამოინავარდებს და აყოლებს მუსიკას ხმაზედ ფეხებს. ამ ნავარდის შემდეგ კოხტად დაუკრავს ხოლმე მანდილოსნებს თავს და გავარდება. შემდეგ ეს ბედაური უბრალო ჩაჩაჩად გადიქცევა და სიკოჭლით გამოდის ისევ მოედანზედ, იწყებს ფორხილს და ბოლოს ეცემა და კვდება.

— ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ორლეანელი ჭაბუკი დაპატიმრებულია ახლა კლერვოს საპატიმროში, რადგან საფრანგეთის მიწა-წყალზედ ნება-დაურთველად გამოცხადდა. საპატიმროში ახალგაზდა ჭაბუკმა ისეთი მადა გამოიჩინა თურმე, რომ ყველანი გაკვირვებულნი არიან. ამ მადიანობის გამოსარკვევად ეხლა ამ გაზეთებში სხვათა შორის მოჰყავთ ლიუდოვიკ XIV-ის ნათესავ ქალის პრინცესა პფალც-ცვეიბრიუკენის ნაწერიდგან შემდეგი სიტყვები: რამდენჯერმე მინახავს, რომ მეფეს (ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს) სადილად ოთხი წვენით სავსე მთლიანა უჭამია, მთელი ხოხობი, ერთი ქათამი, ერთი დიდი თეფში სალათი, ორი დიდი გვერდი ღორი, ერთი თეფში შეწვარი ძროხის ხორცი, დიდ-ძალი წვნიანი და ხილეულობა. ლიუდოვიკ მეთხუთმეტეც არ ჩამოუვარდებოდა თურმე თავისს წინაპარს ჭამის მხრივ და მზარეულებს თთვეში ექვს ას ორმოც-და-ხუთ მანეთს მარტო ჯამაგირს აძლევდა. მეფე ლიუდოვიკ მეთვრამეტეს კიდევ ისეთი მადა ჰქონდა, რომ ღამე ძილის დროს გაიღვიძებდა ხოლმე და

---

ფერება მოინდომეთ და დედა თქვენზე გული მოგდიოდათ, ვერ ახერხებს ახალის სახელის გამოთქმასაო.

— წარმოიდგინეთ, მას უკან რამდენმა ხანმა გაიარა და დედაჩემი დღესაც ვერ ახერხებს ვარინკა დამიძახოს, ისე შეჩვეულია ბაბოს დაძახებას.

— შეჩვეული კი არა, შვილო, მე ის სახელი უფრო მიყვარს. აკი მაინც ხათრი არ გაგიტეხე, დაუმატა სიცილით ქვრივმა, და ბაბოს „ჩკაც“ მიუმატე.

— ისევ, რომ დედაჩემი ჩემს დას არც ბაბოს უძახის და არც ვარინკას...

— წარმოიდგინეთ ბაბუშკას მეძახის!

ყველას სიცილი მოუვიდა.

— თქვენ ბაბოჩკა უნდა იგულისხმოთ, შენიშნა ზრდილობიანად ნიკომ.

— გმადლობთ კომპლიმენტისათვის.

— მე ვერ გაგიბედავდით კომპლიმენტს... ბედს ველარ შესჩივლებთ, ბატონო, მიაძახა ნიკომ ქვრივს: ასე კარგს შვილებს შეესწარით: ჯაფას შეგიმსუბუქებენ, გასიამოვნებენ, გაგამხიარულებენ და თქვენს ზრუნვასაც ამითი გადაგიხდიან.

— დიაღ, ღვთის მადლით, ეხლა აღარა მიშავს-რა, უპასუხა ქვრივმა და თავის ქალს გვერდზე გაჰხედა.

— დიდი ხანია, ბატონო, თქვენ კურსი შეასრულეთ? ჰკითხა ნიკომ ვანოს დას.

— ჯერ ერთი წელიწადიც არ არის.

— დაგენანებოდათ სასწავლებლის დატოვება.

— ოჰ, ნულარ მომაგონებთ, თუ ღმერთი გწამთ, გააწყვეტინა ვარინკამ: იქიდგან გაქცევა-კი მეზარება; გარედგან რომ ვუყურებ, საპატიმრო მგონია.

— ხა, ხა, ხა!—გაიცინა ნიკომ. კარგი კომპლიმენტია ჩვენის სასწავლებლისათვის.

— გამოვედი თუ არა ფეხი იქიდგან, ვეცადე ყველაფერი დამევიწყნა.

— ხა! ხა! ხა! კარგია, თქვენი მასწავლებელი ყურს არ გიგდებთ ეხლა.

— იჰ! ძალიან მეშინიან! იმათ უფრო ეშინოდათ ჩემი. რა გინდა, დედა? ჰკითხა ვარინკამ უცბად დედას.

— არაფერი, შვილო, უპასუხა მორცხვად ქვრივმა.

— მაშ, რად მიშვრებოდი თვალს? ვანომ და ნიკომ ჩაიცინეს.

— ჩვენს დედებს წესად აქვთ დადებული, რომ ყმაწვილმა ქალმა ყმაწვილ კაცთან ცოტა უნდა ილაპარაკოსო.

— არა, შვილო, უპასუხა ქვრივმა და უფრო შერცხვა სტუმრისა: მაგას რად ვიტყვი, ნიკო შინაურია ამ სახლში.

— გმადლობთ, ბატონო. ძალიან მასიამოვნეთ მაგ სიტყვით უთხრა ნიკომ ვარინკას დედას.

— მაინც რომელი საგანი უფრო გიყვარდათ?—ჰკითხა ვარინკას ნიკომ.

— ჩემთვის ყველაზე ადვილი და სასიამოვნო საგანი გრაცია იყო.

— განა მაგასაც ასწავლიან? იკითხა ნიკომ.

— დიაღ, ბატონო, და ისე ადვილიც არ გახლავს!

— რა საგანია ეგ მომიტევეთ და მაგ საგნის გაგება ჩემთვის ძალიან საინტერესოა.

— განა არ იცით, რა არის გრაცია!? არც შენ იცი, ვანო? მაშ ყური დამიგდეთ: ის ხომ იცით, ქალის ბედ-უბედობაში მის გარეგნობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ესეც ხომ იცით, რომ ლამაზს სურათს ლამაზი, ცოცხალი ქალი სჯობია. მერე... აქ ცოტა დამავიწყდა მასწავლებლის სიტყვები. მაგრამ ეს საინტერესო არ არის. ერთის სიტყვით, ჩვენ გვასწავლიან თავდაპირველად პატარა და დიდს რევერანსების კოხტად და ლაზათიანად გაკეთებას. მართლა, რევერანსებზე ისე არ დავიწყებ ლაპარაკს, რომ ერთი ჩემი ამხანაგი, ჩაჩუტაძის ქალი არ მომაგონდეს. იმ ეშმაკმა პატარა რევერანსს ბუქნაობა დაარქვა და დიდ რევერანსს...

— ჰო, იმას ვამბობდი, რევერანსის შემდეგ სიცილის და თვალების დაჭერას გვასწავლიან. რასაკვირველია, ისე, ვისაც როგორ უხდება. ამასთანვე სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა ესები ისე გავაკეთოთ, ვითომც ბუნებრივია; ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ სიცილის მაგიერად შეიძლება გაჯავრებული სახე მივიღოთ, თუ ვინიცობაა გვინდა ვინმე თავიდგან მოვიშოროთ. მერე ამას მოჰყვება: სკამზე როგორ უნდა ჩამოჯდეს ქალი, რომ დაშვენდეს; ძილში ხელები როგორ უნდა ეწყოს, რომ ქმარს...

— რას ლაპარაკობ, ქალო, პატარა მორიდება იქონიე, ვერ მოითმინა ქვრივმა.

— არა უშავს რა, დედა, დაამშვიდა ვანომ, თუ ქალს უნდა ბედნიერი იყოს, თავის თავი არ უნდა დაიმალოს.

— ბატონო, მიმართა ნიკომ ყმაწვილს ქალს, ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ სასწავლებლიდამ გამოგყოლიათ ის, რაც ყველასათვის სანატრელია და მოსაწონი და რასაც მე ყველაზე მეტად ვაფასებ ქალებში. ეს გახლავთ, როგორც ვანომ სთქვა, თქვენი გულის-წრფელობა და გულისმართალი ლაპარაკი.

— თქვენთან ყოფნის სიამოვნებას ნუ მომაკლებთ და ნება მომეცით მაშ დღეს სადილად დაგეპატიჟოთ.

— დიდათ გვესიამოვნები და გაგვაბედნიერებთ, სთხოვა სიხარულით ქვრივმაც.

— ისე, სულ შინაურულად, როგორც პატარა ნიკოს ვუხდებოდით ხოლმე, დაუმატა სიცილით ნიკომ, მადლობა გადუხადა და გამოესალმა. ვანოც მას გამოჰყვა თან.

ქვრივი მაშინვე სამზარეულოში გაექანა. ვარინკა სარკმელიდგან დიდხანს მისჩერებოდა მიმავალ ნიკოს.

— თითქო სიზმარშიაც მინახავს, წაიჩურჩულა მან თავისთვის და ხტუნვითა და პროწიალით პიანოსკენ გასრიალდა.

პალიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

ჭამისთვის უნდა მიეყო ხელი. ღიუდლოვიკო ფილიპჩე მალიან მადის პატრონი იყო და საკვირველი არ არის, თუ ახალგაზდა ჰერცოგსაც, იმათს შთამომავალს, არ დაუკარგავს ეს წინაპართა ზნე და ჩვეულებაო.

## დეპეშა

10 მარტი

პეტერბურგი. „Новости“ იუწყება, რომ კათოლიკეთა საპოლი-ტიკო კათედრაზედ დანიშვნა მთავარეპისკოპოსისა გადადებულ იქმნაო. პეტერბურგ-მოგილიოვის საეპისკოპოსო კათედრაზედ, რომელიც ეჭირა აქამდე მიტროპოლიტს, უნდათ დანიშნონ ვილნოს პრელატი ზდანოვიჩი, რომელიც იმ წესით განაგებს თავის ეპარქიას, როგორც სხვა ეპისკოპოსნიო.

ბერლინი. უელსის პრინცის პატივსაცემლად გამართულს სადილზედ იმპერატორმა წარმოსთქვა სადღეგრძელო განგრძობისათვის ინგლისისა და გერმანიის მეგობრობისა, და ბოლოს სთქვა: იმედია, რომ ჩვენი ფლოტები და მხედრობანი დაიცავენ ევროპაში მშვიდობასაო. პრინცმა უელსისამ მადლობა გადუხადა და სთქვა, რომ დიდად მსურს ხშირად ვიყო ხოლმე გერმანიაში და თქვენც ხშირად განახოთ ხოლმე ინგლისშიო.

11 მარტი

ბერლინი. „Berliner Politische Nachrichten“-ი ამბობს, რომ კონფერენციის ნალვაწს მუშათა საქმის შესახებ 29 მარტისათვის გაეიგებთო. სამსავე კომისიას უკვე საყურადღებო გარდაწყვეტილებანი დაუდვია: მადნებში სამუშაოდ 14 წლისაზე ნაკლებნი ველარ იმუშავებენო; დედაკაცებს ღვიმე მაღაროებში მუშაობა სრულიად აღეკრძალებათ; ყმაწვილების მუშაობა ქარხნებში იმაზე იქმნება დამოკიდებული, გათავებული აქვს თუ არა ყმაწვილს ის სწავლა სკოლაში, რასაც კანონი ითხოვს. მცირეწლოვანთა მუშაობა-კი ღამ-ღამე აღკრძალულია და საზოგადოდ ექვს საათზედ მეტი მუშაობა არ შეიძლება მათთვისა, ისიც დასვენებით უნდა მუშაობდნენო. შემდეგ გადაწყვეტილია, რომ სადაც ჯანისათვის მავნებელია მუშაობა, იქ ყმაწვილებს აღეკრძალებათ ყოფნა სამუშაოდაო. გადასწყდა საზოგადოდ, რომ კვირაობით მუშაობა არ იყოს, თუ წარმოება ისეთი არ არის, რომ უეჭველად საჭიროა კვირაობითაც მუშაობა. მაგალითად, თუ მუშაობა მხოლოდ რომელსამე დროს შეიძლება წელიწადში, ამ შემთხვევაშიაც-კი ერთს კვირას რომ მუშაობა იყოს, მეორე კვირას მუშებმა უნდა დაისვენონო.

პეტერბურგის ბირჟა, 9 მარტს.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 7 35 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 147½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 236¼ | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 221 |
| —მესამისა | — „ | — „ | 220 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა

ს. გ—ის. მგზავრს. თუ მართლა გ—ს სკოლაში სწავლა კარგად მიდის, მასწავლებელიც კარგია და სწავლაც უსასყიდლოა, მაშ რა მიზეზი უნდა იყოს, რომ შეგირდები კერძო სკოლაში მიიწევენ და იქ სწავლების ფასსაც-კი იხდიან? მოიწერეთ დაწვრილებით, რამდენად კარგად მიდის სწავლების საქმე გ—ის სკოლაში და მაშინ დავხედავთ, დაიბეჭდოს თქვენი წერილი, თუ არა.

სა—რეს. უ. ჩ—ეს. თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი არ დაიბეჭდება, რადგან ამ საგანზე ერთობ ბევრი ლაპარაკი იყო გაზეთში.

თ—ვს ი. ნ—შვილს. უფრო დასაბუთებელი წერილია საჭირო იმ საგნის თაობაზე, რომელსაც თქვენ შეეხებით.

ა. ბ—ს. ნ. ს—ს. თქვენი წერილი ძლიერ დაგვიანებულია და ამიტომ ველარ დაიბეჭდება.

უსახელო ავტორს. თქვენი ლექსი „ფიქრი“ არ დაიბეჭდება.

თ—თს ა. ს— იას. უველა კორესპონდენციის გამო არ შეგვიძლიან მიწერ-მოწერა გავაბათ. ჩვენი დღენი მხოლოდ მაგ მიწერ-მოწერას მოვუნდებოდით.

გ. ა—ელს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყყ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღით არის

13 დღე სამშაბათი. ქართველ. აღმოყვანება ნაწილთა წმინდათა შორის მამისა ჩვენისა ნიკიფორესი. კათოლ. წმ. ეკატერინასი, ქრისტინე და ზბიგნევისა. სომეხ. 30 დღე დიდ-მარხვისა. გარდაიცვალა სახალხო პოეტი იოსებ დავითაშვილი 1887 წ. მზე ამოდის 5—55, ჩადის —18. ჭეშმარიტი შუადღე 12—6. მთვარე 5 დღისაა.

14 დღე ოთხშაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა ბენედიქტესი. კათოლ. წმ. გაბრიელისა, ედვარდისა და იუსტისა. სომეხ. 31 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—53, ჩადის 6—20. ჭეშმარიტი შუადღე 12—6. მთვარე 6 დღისაა.

15 დღე ხუთშაბათი. ქართველ. წმ. მოწამეთა აღაპისი და მისთანათა. კათოლ. წმ. მატილდასი, ზაქარიასი და პეტრესი. სომეხ. 32 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—51, ჩადის 6—21. ჭეშმარიტი შუადღე 12—5. მთვარე 7 დღისაა.

16 დღე პარასკევი. ქართველ. წმ. მოწამისა საბინესი. კათოლ. წმ. ლონგინოსი, ლეოკრეციასი და ლეონტინისა. სომეხ. 33 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—50. ჩადის 6—22. ჭეშმარიტი შუადღე 12—5. მთვარე 8 დღისაა.

17 დღე შაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა ალექსი ღვთის კაცისა. კათოლ. წმ. პატრიცი, იულინა და გილიარისა. სომეხ. 34 დღე დიდ-მარხვისა წმ. მამ. გრიგოლ. განმანათლებლისა. მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23. ჭეშმარიტი შუადღე 12—5—მთვარე 9 დღისაა.

18 დღე კვირა. ქართველ. წმ. კირილე, იერუსალიმელ პატრიარქისა. კათოლ წმ. გერტრუდასი, პატრიკისა და ბოლესლავასი. სომეხ. 35 დღე დიდ-მარხვისა. წმ. სებასტიას ორმეოცთა წამებულთა. მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—48. ჭეშმარიტი შუადღე 12—4. მთვარე 10 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. ქართვ. წმ. ხვრისანთე და დარიასი. კათოლ. წმ. იოსებისა, აბრამისა და იაკობისა. სომეხ. 36 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. მთვარე 11 დღისაა.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
„უბის წიგნი 1890 წლისათვის“
შედგენილი და გამოცემული
ვალ. გუნიას მიერ
ფასი 40 კაპ.

ისყიდება
ქართული მრგვალი
### კრამიტი
ელისაბედის ქუჩაზე, № 31 სახლებში, რომელიც წინად ონიკოვისა იყო.
(3—2)

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
### გორქილი
დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა
დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.
ფასი 40 კაპ.

## კბილი ალარავის წამოსტკივდება
თუ იხმარებენ
ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს
სულიაკის სააბატოში (GIRONDE)
ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ
და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული
ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.




ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.
ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.
ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.
ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი უველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.
უმთავრესი აგენტი: Arde Seguin, Boux, rue Croix de Seguey, № 106.
(208—4)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:
## დედა ენა და ბუნების კარი
გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.
დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.
ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.
ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.
„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.
ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.
ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.
მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:
Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
## ივერია
1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.
თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.
თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.
ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:
ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.
ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.
არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.
პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.
რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## კოკორი
ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.
დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.
ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.
ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Меликъ д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი. ილია ჭავჭავაძე